სასწავლო ოლიმპიადა ქართულ ენასა და ლიტერატურაში

ოლიმპიადის მესამე ეტაპზე მოგეთხოვებათ ***ერთი დავალების*** შესრულება, რისთვისაც გეძლევათ ***3 საათი.***

დავალების მაქსიმალური ქულაა ***30***.



ოქროს საწმისი (ოქროსმატყლიანი ვერძის ტყავი) – ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, აიას სახელმწიფოს (ძველი კოლხეთის) ძლევამოსილებისა და კეთილდღეობის გარანტი. ბერძნებმა მისი ხელში ჩაგდება გადაწყვიტეს და გემ „არგოთი“ გამოგზავნეს მეომრები უფლისწულ იაზონის (იასონის) მეთაურობით. კოლხეთში იაზონი გადაულახავ წინააღმდეგობებს წააწყდა, თუმცა მას დაეხმარა მეფე აიეტის გონიერებითა და გრძნეულებით გამორჩეული ასული მედეა, რომელსაც თავდავიწყებით შეუყვარდა ბერძენი ჭაბუკი. იაზონმა შეძლო ოქროს საწმისის გატაცება, მედეაც თან წაიყვანა საბერძნეთში და ცოლად შეირთო.

ოქროს საწმისი
(ნაწყვეტი)

ოქროს საწმისით განათებულა
სიყვარული და ვერაგობა.
და ჩვენი სული გაბრუებული
არის ლეგენდით და სიამაყით.
ყოველი ციხე შიგნიდან ტყდება.
ჩვენ არაფერი არ შეგვიძლია,
ჩვენ გვიღალატა მეფის ასულმა,
არესის ველზე დაჩოქილია
ოქროსმფრქვეველი ჩვენი ხარები,
გაძარცულია ჩვენი ქვეყანა.
გათელილია ყანა მზიანი...
შორდება ნაპირს მათი ხომალდი.
რა უნდა გვექნა?
ღმერთებს როგორ შევბრძოლებოდით?
რას დავაბრალოთ – ქვეყნის სიმდიდრეს?
ვის დავაბრალოთ – მეფის ასულს?
ოქროს საწმისი იქნებ სჯობდა, სულ არ გვქონოდა?
ო, მაშინ რითი ვიამაყებდით?

გივი გეგეჭკორი

დაწერეთ თხზულება ოქროს საწმისის მითისადმი პოეტის დამოკიდებულების გათვალისწინებით. თხზულების სათაური და ფორმა (ესე ან მოთხრობა) შეარჩიეთ თქვენი შეხედულებისამებრ. ჩამოაყალიბეთ სათქმელი ნათლად და მკაფიოდ, დაიცავით სალიტერატურო ენის ნორმები.

ნაშრომი შესრულებული უნდა იყოს გასაგები (გარკვეული) ხელწერით. სასურველია თხზულება ერთი გვერდი მაინც გამოვიდეს, რათა მასში სრულად აისახოს თქვენი დამოკიდებულება დასმული საკითხის მიმართ.

შავი სამუშაოსათვის